



ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



გარემოსდაცვითი
გადაწყვეტილებების მიღების
პროცესი გურიის რეგიონში

მონიტორინგის შედეგები და
რეკომენდაციები

გრიგოლ მახარაძე
ლევან მუჯანაძე

ოზურგეთი
2022



გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი გურიის რეგიონში

პუბლიკაცია მომზადებულია ორგანიზაციების „გურიის სამოქალაქო ცენტრის“ და „გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია ეკოს“ მიერ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, პროექტის „**სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის**“ ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP). პროექტს აფინანსებს ევროკავშირი და კონრად ადენაუერის ფონდი (KAS).

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია „გურიის სამოქალაქო ცენტრი“ და „გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია ეკოს“ და შესაძლოა იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, კონრად ადენაუერის ფონდის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორობის შეხედულებებს.

სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა



ძირითადი შედეგები	3
კვლევის მიზანი	3
კვლევის მეთოდოლოგია	6
რაოდენობრივი კომპონენტი	6
<i>კითხვარის შემუშავება</i>	6
<i>შერჩევა</i>	6
<i>მონაცემთა შეგროვება და დამუშავება</i>	7
საჯარო განხილვების მონიტორინგი	8
კვლევის შედეგები	8
მოქალაქეთა ინფორმირება	9
მოქალაქეთა ჩართულობა	15
მოქალაქეთა დამოკიდებულებები	25
დემოგრაფიული მონაცემები	32
რეკომენდაციები	35

ძირითადი შედეგები

- საკვლევი თემების მოსახლეობის დიდ ნაწილს (38%) არ მიუღია ინფორმაცია სკოპინგის ან გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშების საჯარო განხილვების შესახებ. ასეთი საჯარო განხილვები ჩატარდა იმ საქმიანობებთან დაკავშირებით, რომლებიც გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებს ექვემდებარებიან, მათ შორისაა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტები
- მოსახლეობის უმრავლესობა (80,3%) არ ესწრებოდა მათი საცხოვრებელი სოფლის მიმდებარედ დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის და გზმ-ის ანგარიშების საჯარო განხილვებს
- სკოპინგის და გზმ-ის ანგარიშების საჯარო განხილვების შინაარსი სცდება სკოპინგის და გზმ-ის პროცედურების არსს. მოსახლეობის მცირე ნაწილი, რომელიც ესწრებოდა საჯარო განხილვებს, განხილვების შინაარსთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ საჯარო განხილვების შინაარსი პროექტების ხარჯსარგებლიანობის ანალიზის და გარემოსდაცვითი საკითხების განხილვის თანაბრად ეთმობოდა დაინტერესებული კომპანიების მიერ სოფლისთვის გაცემულ დაპირებებს.
- ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის განხილვის პროცესში მოსახლეობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ელექტროენერჯის ტარიფია, მიუხედავად იმისა რომ ეს საკითხი იშვიათად განიხილება საჯარო განხილვებზე (8% საჯარო განხილვებზე დასახელებულ საკითხთა შორის)
- სკოპინგის და გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვების შედეგების შესახებ მოქალაქეებს ინფორმაცია არ აქვთ - კვლევის რესპონდენტები არ ფლობდნენ ინფორმაციას საჯარო განხილვებზე გამოთქმული მოსაზრებების შესახებ სამინისტროს რეაგირების თაობაზე. დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის და წარდგენის პროცესი მოქალაქეთა ჩართულობის გარეშე წარიმართება.
- საკვლევი თემების მოსახლეობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ საჯარო განხილვების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი უნდა იყოს. საჯარო განხილვებზე დამსწრე გამოკითხულთა მხოლოდ 4,8%-მა მიიღო ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობისგან. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებში მოქალაქეთა ჩართვა ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენცია არ არის, მას შეუძლია დადებითი როლის შესრულება მოქალაქეთა ინფორმირების კუთხით.

კვლევის მიზანი

ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების და ბუნებრივი გარემოთი სარგებლობის უფლება საქართველოს კონსტიტუციით ცალკე უფლებად არის აღიარებული. უკანასკნელი წლების განმავლობაში გურიის მოსახლეობისთვის ერთ-ერთ მწვავე თემად იქცა მსხვილმასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, როგორცაა

მაგალითად, ჰიდროელექტროსადგური, ელექტროგადამცემი ხაზი, ლითონგადამამუშავებელი ქარხანა, ასფალტის ქარხანა და სხვა.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით „ეკონომიკური აღმასვლისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევა ქვეყნის განვითარებას, გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებს შორის ბალანსის პოვნასა და დაცვაზე გადის. ამდენად, ეკონომიკურ ზრდასთან, ენერგოდამოუკიდებლობის მიზნის მიღწევასთან ერთად ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ ეფექტიან გარემოსდაცვით მმართველობას თანაბარი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს“¹ გარემოსდაცვითი ინტერესების რეალიზაციის მთავარი ინსტრუმენტები კი არის ინფორმაციაზე წვდომის, გადაწყვეტილებებში მონაწილეობის, სასამართლო და ადმინისტრაციულ წარმოებაზე ხელმისაწვდომობის უფლებები.²

საკითხი მნიშვნელოვანია გურიის სოფლების მოსახლეობისთვის, როლებიც განლაგებულია აჭარა-გურიის ქედის ჩრდილო მთისწინეთში. გურიის რეგიონის დასახლებული პუნქტების უმრავლესობა სწორედ ამ ზონაში მდებარე მდინარეების ხეობებში მდებარეობს. უკანასკნელ წლებში გაიზარდა გურიის რეგიონის ფარგლებში ისეთი ეკონომიკური აქტივობა, რაც გარემოზე მავნე ზემოქმედების საფრთხეს შეიცავს, მათ შორისაა გურიის ჰიდრორესურსების ათვისება და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. მოსახლეობის მთავარი წუხილები ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას უკავშირდება. გადაწყვეტილებების მიღების პროცესს თან სდევს ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური წინააღმდეგობა

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების თანახმად გარემოს დაცვის საკითხების ინტეგრირებას არა მხოლოდ გარემოსდაცვით პოლიტიკაში, არამედ პოლიტიკის სხვა სფეროებშიც.

ასოცირების შეთანხმების თანახმად საქართველომ აიღო ვალდებულება ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას. ამ ვალდებულების მიხედვით საქართველომ უნდა შემუშავოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურები, განსაზღვროს საზოგადოებასთან კონსულტაციების მექანიზმები და საზოგადოების ინფორმირებისათვის მიიღოს სათანადო ზომები, დანერგოს ეფექტიანი, ხელმისაწვდომი და დროული განხილვის პროცედურების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მხრიდან შენიშვნებისა და მოსაზრებების მიღებისა და გათვალისწინებისთვის საჭირო მექანიზმები.

ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების და ევროკავშირის დირექტივების შესასრულებლად საქართველოში განხორციელდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ცვლილება და 2018 წლიდან ამოქმედდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.³ ამოქმედებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა გარემოზე პოტენციური

¹ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა - პოლიტიკის, კანონმდებლობისა და აღსრულების გამოწვევები“, გვ. 3; თბილისი, 2021

² იქვე; გვ. 8

³ გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, ასოცირების შეთანხმების შესრულების ანგარიში, ეკატერინე მიქაძე, თბილისი, 2019

ზემოქმედების მქონე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის და საჯარო კონსულტაციების გაძლიერების მხრივ.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, იმ ობიექტზე მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, რომელიც ექვემდებარება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას, საჭიროა მინიმუმ ორი საჯარო განხილვის ჩატარება: 1. სკოპინგის და 2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშების საჯარო განხილვები.

სკოპინგი არის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზმ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზმ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებებს. სკოპინგის ანგარიში უნდა მოამზადოს საქმიანობის განმახორციელებელმა ან/და კონსულტანტმა ორგანიზაციამ. სკოპინგის ანგარიში ექვემდებარება საჯარო განხილვის პროცედურას. სკოპინგის ანგარიშისა და მისი საჯარო განხილვის საფუძველზე სამინისტრო უფლებამოსილია გასცეს სკოპინგის დასკვნა. სკოპინგის დასკვნით განისაზღვრება გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებლისთვის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზმ) არის პროცედურა, რომლის ფარგლებში უნდა განხორციელდეს დაგეგმილი საქმიანობისთვის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენა და შესწავლა. გარემოზე ზემოქმედება შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს. გარემოზე ზემოქმედების შეფასება სკოპინგის შემდეგ მოიცავს შემდეგ საფეხურებს: გზმ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას. მიღებული შედეგების შეფასების საფუძველზე უნდა მომზადდეს ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისას.⁴

როგორც სკოპინგის, ასევე გზმ-ის ანგარიში საჯარო განხილვების ორგანიზებაზე, მათ შორის მოქალაქეთა ინფორმირებასა და ჩართულობაზე, საქართველოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროა პასუხისმგებელი.⁵

2020 წლის განმავლობაში გურიის რეგიონში გარემოსდაცვით შეფასებას დაქვემდებარებული გადაწყვეტილებების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევები მნიშვნელოვნად გაიზარდა. მხოლოდ 2020 წლის ბოლო თვეების განმავლობაში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შემდეგ მშენებლობებთან დაკავშირებით (1) „ბახვი 1“ ჰესი დაბა ბახმაროს მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარე ბახვისწყალზე, (2) ბარამიძეჰესი“ სოფელ სურების ტერიტორიაზე მდინარე სუფსაზე (3) „საშულაჰესი“ სოფელ ხიდისთავში მდინარე გუბაზოულზე.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის აღწერა, ხარვეზების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების

⁴ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 3

⁵ საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის #2-94 ბრძანება

შემუშავება გურიის რეგიონში ჩატარებული სკოპონგების დოკუმენტების და გზმ-ის დოკუმენტების საჯარო განხილვების ჩატარების მაგალითზე.

კვლევის მეთოდოლოგია

რაოდენობრივი კომპონენტი

პროექტის „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მონიტორინგის გურიის რეგიონში“ ჩატარდა მოსახლეობის აზრის კვლევა

- კვლევის ტიპი: რაოდენობრივი კვლევა
- კვლევის მეთოდი: პირისპირ ინტერვიუ
- კვლევის ინსტრუმენტი: კითხვარი

კითხვარის შემუშავება

კითხვარი შედგენილ იქნა კვლევის მიზნების გათვალისწინებით და მოიცავდა 13 კითხვას. გარდა სტრუქტურირებული კითხვებისა, კითხვარს გააჩნდა ცალკე გრაფა რესპონდენტების დამატებითი კომენტარების და მოსაზრებების ჩასაწერად. კითხვები შეეხებოდა შემდეგ თემებს

- ჰქონდათ თუ არა მოქალაქეებს ინფორმაცია ადმინისტრაციული წარმოების შესახებ?
- მონაწილეობდნენ თუ არა საჯარო განხილვებში?
- ჰქონდათ/აქვთ თუ არა გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებში ჩართულობის ინტერესი?
- რა დამოუკიდებულება აქვთ ჰესების მშენებლობის მიმართ

კითხვარი ძირითადი სოციოდემოგრაფიული მახასიათებლების შესახებაც მოიცავდა კითხვებს. ამის საშუალებით შესაძლებელი გახდა კითხვარში განხილული სხვა საკითხების შედარება სქესის, ასაკის და სხვა სოციოდემოგრაფიული ცვლადების (სქესი • საცხოვრებელი ადგილი • ასაკი • დასაქმება) ჭრილში.

შერჩევა

კვლევის სამიზნე ჯგუფი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 3 და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 1 ადმინისტრაციული ერთეულის სრულწლოვანი მოსახლეობა. გეოგრაფიულად კვლევამ მოიცვა გურიის მთიანი ზოლის სოფლები, კონკრეტულად ის ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთა ფარგლებში გასული 2 წლის განმავლობაში

დაიწყო და დასრულდა ან მიმდინარეობს ადმინისტრაციული პროცედურები გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას დაქვემდებარებულ საქმიანობებზე.

ეს ადმინისტრაციული ერთეულებია:

- სურების თემი (ზემო სურები, შუა სურები, დიდივანი); ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
- ნაბელავის თემი (სოფლები ჩხაკოურა და ქვაბლა); ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
- ხიდისთავის თემი (ხიდისთავი, ზენობანი, მეწიეთი, წიფნაგვარა, ჭაჭიეთი, ახალშენი); ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
- მთისპირის თემი (მთისპირი, ოქროსქედი, უკანავა); ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

შერჩევის ზომად განისაზღვრა 250 რესპონდენტი. აღნიშნული შერჩევის ზომის მიხედვით, კვლევის შედეგები რეპრეზენტატულია. კვლევის ცდომილების მნიშვნელობაა 2.5%.

შერჩევის ბაზად გამოყენებულ იქნა საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები და მოსახლეობის განაწილება სოფლების მიხედვით .

შერჩევის დიზაინი: მრავალსაფეხურიანი სტრატეგიცირებული (კლასტერული) შერჩევა. შერჩევის აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს კვლევაში გენდერული და ასაკობრივი ჯგუფების რეპრეზენტატულ განაწილებას. კვლევისათვის შერჩევის მოცულობები საკვლევ თემებს ისეთი პროპორციით განაწილდება, რომელიც უზრუნველყოფს შერჩევის ცდომილების თანაბარ მნიშვნელობებს.

შერჩევის ჩარჩო:

ტერიტორიული ერთეული	მოსახ. რაოდ	%	გამოსაკითხთა რაოდენობა	მათ შორის	
				ქალი	კაცი
სურები	178	7.2	23	11	12
ხიდისთავი	1173	47.7	110	52	58
ქვაბლა	329	13.4	38	18	20
ჩხაკაურა	223	9	26	12	14
მთისპირი	559	22.7	57	28	29
სულ	2462	100	254	121	133

ცხრილი 1

მონაცემთა შეგროვება და დამუშავება

ანკეტის შედგენის შემდეგ ინტერვიუებმა წინასწარ გაიარეს 1–დღიანი ტრენინგი ინტერვიუს ჩატარების შესახებ. ტრენინგზე განხილული იყო გამოკითხვის მიზნები, რესპონდენტების შერჩევის წესი, კითხვარის შევსების წესი და გამოკითხვის ჩატარების ვადები. გამოკითხვა ტარდებოდა სამი სხვადასხვა ინტერვიუერის მიერ. ინტერვიუს დაწყებამდე რესპონდენტები ეცნობოდათ გამოკითხვის ჩატარების მიზნებს და მხოლოდ ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში გრძელდებოდა ინტერვიუ. გამოკითხვა

მიმდინარეობდა 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის მარტის განმავლობაში. საერთო ჯამში გამოიკითხა 254 რესპონდენტი.

შეგროვებული ინტერვიუები სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის პროგრამა „SPSS-ის“ საშუალებით დამუშავდა. განხორციელდა შეგროვებული მონაცემების კოდირება, ვალიდაცია და მონაცემთა ანალიზი.

საჯარო განხილვების მონიტორინგი

კვლევის ფარგლებში დამატებით განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გურიის რეგიონში ჩატარებული საჯარო განხილვების მონიტორინგი. :

- 2021 წლის 29 ოქტომბერს ჩოხატაურში დაბა ბახმაროს წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა.
- 2022 წლის 10 თებერვალს დაბა ჩოხატაურში „ბახვი 1 ჰესის“ გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა
- 2022 წლის 10 თებერვალს ქალაქ ოზურგეთში „ბახვი 1 ჰესის“ გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა
- 2022 წლის 11 თებერვალს სოფელ მთისპირში „ბახვი 1 ჰესის“ გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა
- 2022 წლის 11 თებერვალს სოფელ ჩხაკოურაში „ბახვი 1 ჰესის“ გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა
- 2022 წლის 7 მარტს სოფელ ჯაპანაში თევზსაშენი ტბორის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა


საჯარო განხილვების დროს უშუალოდ დაკვირვება ხდებოდა შემდეგ საკითხებზე:

- რამდენი მონაწილე ესწრებოდა აღნიშნულ საჯარო განხილვას?
- როგორ და რა ფორმებით იყო გავრცელებული ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ?
- ესწრებოდნენ თუ არა საჯარო განხილვას უშუალოდ დაგეგმილი საქმიანობის ადგილის/სოფლის მცხოვრებლები?
- როგორი იყო საჯარო განხილვის ფორმატი, ვინ იყო მისი ორგანიზატორი, მოდერატორი, სპიკერები?
- ჰქონდათ თუ არა საჯარო განხილვებზე მონაწილეებს კითხვების დასმის და პასუხების მიღების საშუალება?

კვლევის შედეგები

მოქალაქეთა ინფორმირება

ორჰუსის კონვენციის თანახმად, საზოგადოება „ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით“. კონვენციის მიხედვით საზოგადოება გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე უნდა ფლობდეს ინფორმაციას დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით.⁶ შესაბამისად, ერთ-ერთი საკვანძო საკითხი არის მოქალაქეთა წინასწარი ინფორმირების დონის შეფასება.



დიაგრამა 1


გამოკითხულთა უმრავლესობას (82,7%) აქვს ინფორმაცია გურიის რეგიონში დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ თუმცა ძალიან დაბალია ინფორმირებულობის დონე სხვა იმ გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებიც რომლებიც გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ექვემდებარება.

ერთ-ერთი ასეთი საკითხია წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა. საანგარიშო პერიოდში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით გაიმართა ერთი საჯარო განხილვა: დაბა ჩოხატაურში გაიმართა დაბა ბახმაროს წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გზშ-ის დოკუმენტის საჯარო განხილვა. მიუხედავად იმისა, რომ წყალარინების სისტემის და გამწმენდი ნაგებობის არსებობა დაბა ბახმაროსთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, ამ საკითხზე ინფორმაცია გამოკითხულთა მხოლოდ 22,8%-ს ჰქონდა. კიდევ უფრო დაბალი იყო


⁶ კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, მუხლი 6, პუნქტი 2

ინფორმირების მაჩვენებელი დაბა ბახმაროს მიმდებარე სოფლებში, ქვაბრასა და ჩხაკაურაში, სადაც გამოკითხულთა მხოლოდ 5%-ს ჰქონდა ინფორმაცია მის რეგიონში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის შესახებ.

ეს შესაძლოა აიხსნას იმითაც, რომ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ხშირ შემთხვევაში აწყდება ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის პროტესტს, რასაც მოჰყვება საპროტესტო გამოსვლები, რის შედეგადაც ინფორმირებულობის დონე დაგეგმილი საქმიანობის შესახებ იზრდება.




გამოკითხულთა უმრავლესობა 70,1% იცნობს ინფორმაციას „ბახვი 1 ჰესის“ მშენებლობის შესახებ ინფორმაციას, აღნიშნული მოსალოდნელიც იყო რადგანაც „ბახვი 1 ჰესის“ მშენებლობა დაგეგმილია დაბა ბახმაროს მიმდებარედ, დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორია საერთოა ორი მუნიციპალიტეტისთვის და მისი მნიშვნელობა არ შემოიფარგლება ერთი სოფლით. გამოკითხულებს ყველაზე ნაკლებად ჰქონდათ ინფორმაცია „საშუალას ჰესების კასკადის“ შესახებ.



დიაგრამა 3


ამავე კითხვაზე პასუხების ჩაშლა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით აჩვენებს, რომ ნაკლებად ინფორმირებულია ნაბელავის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა (სოფლები ქვაბლა და ჩხაკაურა), სადაც საშუალო ინფორმირების დონე 51%-ია. ყველაზე მაღალი ინფორმირების დონე მთისპირის ადმინისტრაციულ ერთეულშია 64%. მთისპირი „ბახვი 1 ჰესის“ საპროექტო ტერიტორიასთან ყველაზე ახლოს მყოფი სოფელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მხრიდან. მთისპირში შედარებით მაღალი ინფორმირების დონე შესაძლოა აიხსნას ამ სოფელში მშენებელი კომპანიის მიერ წარმართული აქტიური საინფორმაციო კამპანიითა და სოფლის საგანამათლებლო დაწესებულებებთან (საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი) თანამშრომლობით. ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით პროცენტული გადანაწილება მიუთითებს, რომ რესპონდენტებს ინფორმაცია უფრო მეტად აქვთ იმ ჰესების შესახებ, რომლებიც მათივე სოფელში ან სოფლების მიმდებარეა დაგეგმილი და ნაკლებად აქვთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ან რეგიონის ტერიტორიის მასშტაბით მიმდინარე მშენებლობებზე.



დიაგრამა 4

ინფორმაციის ძირითადი წყარო სოფელში მეზობლებია. გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 49,4%-მა ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ თემში მცხოვრები პირებიდან მიიღო. გამოკითხულების 23,1%-მა ჰესის სავარაუდო მშენებლობის შესახებ ინფორმაცია უშუალოდ დაინტერესებული მშენებელი კომპანიიდან მიიღო. საკმაოდ დაბალი მონაცემები დაფიქსირდა სოფლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მხრიდან მოსახლეობის ინფორმირების კუთხით: სოფელში მერის წარმომადგენლისგან ინფორმაცია მიიღო 4,4%-მა, ხოლო თემის დეპუტატისგან 0,4%-მა. თითქმის ერთნაირი პროცენტული მაჩვენებლით გადანაწილდა ინფორმაციის სხვა წყაროები: მედია საშუალებები - 7,9%, ინტერნეტი 7,2%.

რა საშუალებით მიიღეთ ინფორმაცია სავარაუდო მშენებლობის შესახებ?



დიაგრამა 5

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ საჯარო განხილვების შესახებ მოქალაქეთა დაბალი ინფორმირების ერთ-ერთი მიზეზი არის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მოქალაქეთა ინფორმირების არაეფექტიანი მეთოდების გამოყენება. საჯარო განხილვების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ კითხვით მივმართეთ გურიის მხარის სამივე მუნიციპალიტეტს, ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მივმართეთ კითხვით 2021 წლის 29 ოქტომბერს დაბა ბახმაროს წყალარინების სისტემის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად გამოყენებული მექანიზმების შესახებ. ოფიციალური წერილის მიხედვით სამინისტრომ მოქალაქეთა ინფორმირების შემდეგი ფორმები გამოიყენა:⁷

- განცხადება და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (ბმული- <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33253>; <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33306>)
- ინფორმაცია გავრცელდა სსიპ განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის მიერ და გაეგზავნა ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით
- სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ საჯარო განხილვის შესახებ განცხადებები განთავსდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საზოგადოების თავშეყრის ადგილებში.
- სამინისტრომ საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია გაუგზავნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას

საჯარო განხილვის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება ადგილობრივ თვითმმართველობასაც შეუძლია. მუნიციპალიტეტის ორგანოები და დაწესებულებები ფიზიკურად უფრო ახლოსაა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ვიდრე სამინისტრო, მუნიციპალიტეტების მერებს ჰყავთ დანიშნული ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმომადგენლები და მათი თანაშემწეები, მუნიციპალიტეტების საიტებს და სოციალურ ქსელებს მეტი ვიზიტორი და გამომწერი ჰყავს შესაბამისი სოფლების მოსახლეობიდან, ვიდრე სამინისტროს შესაბამის გვერდებს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა 2021 წლის 29 ოქტომბერს დაგეგმილი საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განათავსა მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე. „ინფორმაცია განთავსებული იყო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე, ასევე, შეხვედრაზე დასაწრებად ინფორმაცია მიეწოდა დაბა ბახმაროს

⁷ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური წერილი N 13200-01-2-202112161123; 16 დეკემბერი, 2021

ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს და ამავე ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებულ სხვა პირებს.” მიუხედავად ამისა, საჯარო განხილვის ოქმის მიხედვით განხილვას მხოლოდ 10 ადამიანი ესწრებოდა და აქედან არცერთი არ იყო ბახმაროში მცხოვრები ან დასაქმებული. საჯარო განხილვის ოქმის მიხედვით განხილვაზე მხოლოდ ერთი კითხვა დაისვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მხრიდან.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მივმართეთ კითხვით, თუ მოქალაქეთა ინფორმირების რა საშუალებები გამოიყენა 2022 წლის 7 მარტს სოფელ ჯაპანაში დაგეგმილი თევზსაშენი ტბორის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე მოქალაქეთა ინფორმირებისთვის. მუნიციპალიტეტიდან მიღებული პასუხის მიხედვით „ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე, აგრეთვე სოფელ ჯაპანაში მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში.“⁸

2022 წლის 7 მარტს სოფელ ჯაპანაში გამართულ საჯარო განხილვას დაახლოებით 10 ადამიანი ესწრებოდა, აქედან 6 ადგილობრივი. განხორციელებული მონიტორინგის შედეგად საჯარო თავშეყრის ადგილებში გამოკრული ინფორმაცია ვერ იქნა იდენტიფიცირებული. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფა მდებარეობს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, მუნიციპალიტეტის ცენტრში, ქალაქ ლანჩხუთში. ქალაქი ლანჩხუთი სოფელ ჯაპანადან დაშორებულია 15 კილომეტრით. მხოლოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საინფორმაციო დაფაზე განცხადების განთავსება ვერანაირად ვერ ჩაითვლება მოქალაქეთა ინფორმირების ადეკვატურ მეთოდად.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს მივმართეთ ოფიციალური წერილით, რათა მოეწოდებინა 2022 წლის 10 და 11 თებერვალს ქალაქ ოზურგეთსა და სოფელ მთისპირში გამართული „ბახვი 1 ჰესის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებისთვის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ზომების (საკომუნიკაციო არხების) შესახებ ინფორმაცია. მუნიციპალიტეტმა დასმულ კითხვაზე წერილობითი ფორმით არ გვიპასუხა და საპასუხოდ მოგვაწოდა მხოლოდ საჯარო განხილვის შესახებ მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მომზადებული პრეს-რელიზი.⁹

⁸ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური წერილი N 30-302208146, პინი 5470

⁹ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური წერილი N01-362206963, პინი 9510




ფოტო 1: მოქალაქეები ესწრებიან სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვას, სოფ. ჯაპანა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, 7 მარტი 2022

მოქალაქეთა ჩართულობა

გამოკითხვის შედეგების მიხედვით დაბალია საჯარო განხილვებში მონაწილეობის მაჩვენებელი. 254 გამოკითხულიდან, განხილვების ამა თუ იმ ფორმაში მონაწილეობა მიიღო 50 ადამიანმა, რომელიც გამოკითხულთა 19,7%-ს შეადგენს.

	რაოდენობა	პროცენტი
ვმონაწილეობდი	50	19.7%
არ ვმონაწილეობდი	204	80.3%
სულ	254	100.0%


ცხრილი 2



დიაგრამა 6

დამატებითი კითხვების შედეგად დაზუსტდა, რომ რესპონდენტები ვერ ასხვავებენ ნებართვის გაცემამდე კანონით გათვალისწინებული ორი სხვადასხვა ტიპის განხილვას. ასევე შეხვედრაზე დასწრებაში ისინი ხშირად გულისხმობდნენ არა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ სკოპინგის ან გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას, არამედ მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, ან დაინტერესებული კომპანიის ინიციატივით სოფელში გამართულ შეხვედრებს. არის შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ან კერძო კომპანია საკუთარი ინიციატივით ამავე თემასთან დაკავშირებით ატარებს არასავალდებულო შეხვედრებს.

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით საჯარო განხილვებში ჩართულობის მაჩვენებელი ყველაზე დაბალი იყო ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში - 6%, ყველაზე მაღალი კი სურების ადმინისტრაციულ ერთეულში - 65% (15 პასუხი). ეს შესაძლოა აიხსნას ამ ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის სიმცირით. რამდენადაც ამავე კვლევის მიხედვით ინფორმაციის გავრცელების ძირითადი წყარო მეზობლებია, მცირერიცხოვან დასახლებაში ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება და უფრო მეტ ადამიანს მოიცავს.




დიაგრამა 7

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით სკოპინგის და გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის ადგილად შერჩეულ უნდა იქნას საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობა ან მისი მიმდებარე ტერიტორია. როგორც წესი, პრაქტიკაში ეს არის ხოლმე სოფლის ადმინისტრაციული შენობა, სადაც მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ოფისია განთავსებული. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, ეს არის სოფლის სკოლა¹⁰. გამოკითხვის

¹⁰ 2022 წლის 7 მარტს სოფელ ჯაპანაში თევზსაშენი ტბორის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა

შედეგები აჩვენებს, რომ მოსახლეობა ძირითადად სწორედ სოფელში ჩატარებულ საჯარო განხილვებს ესწრება. 50 ადამიანიდან, რომლებმაც დააფიქსირეს, რომ მონაწილეობდნენ ამა თუ იმ ფორმით, უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ საჯარო შეხვედრას დაესწრო სოფელში. საჯარო განხილვებში მონაწილეთა მხოლოდ 10% ესწრებოდა შეხვედრას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში და 7% ონლაინ შეხვედრას.



დიაგრამა 8

ონლაინ საჯარო განხილვები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ იმართებოდა 2020-2021 წლებში, COVID-19 პანდემიის გამო მიღებული რეგულაციების გამო პლატფორმა webex-ის გამოყენებით. ონლაინ ფორმატში გაიმართა შემდეგი საჯარო განხილვები:

- 2020 წლის 24 დეკემბერი, „ნატანები 3“ ჰესის (სოფელი ვაკიჯვარი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტის საჯარო განხილვა;
- 2021 წლის 29 იანვარი: „ბახვი 1“ ჰესის (დაბა ბახმარო, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) ჰესის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა;
- 2021 წლის 2 მარტი: „ბარამიძე ჰესის“, (სურების თემი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა;

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ მოქალაქეების ძალიან მცირე ნაწილი ესწრებოდა ონლაინ ჩატარებულ განხილვებს და ასევე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში ჩატარებულ განხილვებს. ონლაინ ფორმატში ჩატარებული განხილვებზე დაბალი დასწრება განაპირობებულია რამდენიმე ფაქტორით :

- ონლაინ განხილვების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება სტანდარტული პროცედურებით, მუნიციპალიტეტის შენობაში საინფორმაციო დაფაზე გამოკვრით.
- ინტერნეტის დაბალი სიჩქარე და დაბალი ხელმისაწვდომობა გურიის რეგიონში¹¹
- მოსახლეობის დიდ ნაწილს ჩართვის ტექნიკური საშუალებები და შესაბამისი ცოდნა და უნარები არ გააჩნდა

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც საჯარო განხილვებისთვის გამოყოფილი ადგილი დაშორებულია საქმიანობის ზემოქმედების არეალს და იმართება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში საანგარიშო პერიოდში გაიმართა შემდეგი საჯარო განხილვები:

- 2021 წლის 29 ოქტომბერი, დაბა ბახმაროს წყალარინების გამწმენდი ნაგებობის გზმ–ის საჯარო განხილვა დაბა ჩოხატაურში
- 2022 წლის 10 თებერვალი „ბახვი 1 ჰესის“ გზმ–ის საჯარო განხილვა დაბა ჩოხატაურში
- 2022 წლის 10 თებერვალი „ბახვი 1 ჰესის“ გზმ–ის საჯარო განხილვა ქალაქ ოზურგეთში¹²


50 რეპონდენტიდან, რომლებიც საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ, მხოლოდ 5 ესწრებოდა ასეთ განხილვას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში. ადმინისტრაციულ ცენტრში ჩატარებულ საჯარო შეხვედრებზე მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი სავარაუდოდ განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: ინფორმაციის ნაკლებობა, სოფლიდან მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის დაშორება და არარეგულარული საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

ინტერესი საჯარო განხილვებში მონაწილეობის და ზოგადად, საკითხის გარშემო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის უფრო მაღალია, ვიდრე განხილვებში მონაწილეობის მაჩვენებელი. რესპონდენტების უმრავლესობას საკითხი აინტერესებს ან ძალიან აინტერესებს, მათ სურვილი აქვთ ჩაერთონ განხილვის პროცესში და მიაჩნიათ, რომ სოფლის გარეშე ასეთი მნიშვნელობის საკითხები არ უნდა წყდებოდეს. გამოკითხული მოსახლეობის მცირე ნაწილი სკეპტიკურადაა განწყობილი და მიაჩნია, რომ მათი ჩართულობით მაინც არაფერი შეიცვლება.

¹¹ ინტერნეტის გამოყენების სიმკვრივე საქართველოს რეგიონების მიხედვით https://gdb.rferl.org/FA3BCAF0-1192-4535-8C10-96125975AF6E_w1597_n_r0_st.png


¹² აღსანიშნავია, რომ „ბახვი 1 ჰესის“ გზმ–ის საჯარო განხილვები გაიმართა დაბა ბახმაროსთან ყველაზე ახლომდებარე სოფლებშიც.

როგორ შეაფასებდით ჰესის მშენებლობის ირგვლივ საჯარო განხილვაში მონაწილეობის შესახებ თემის მოსახლეობის ინტერესს




დიაგრამა 9

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ინტერესი ყველაზე მაღალი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სურების თემშია (ძალიან მაღალი 52%, მაღალი 17%; ჯამში 69%), ასევე მაღალი ინტერესია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთისპირის თემში (ძალიან მაღალი 16%, მაღალი 53%, ჯამში 69%). ყველაზე დაბალი ინტერესი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხიდისთავის თემში დაფიქსირდა. ამ ორი კითხვის შედეგების შედარება აჩვენებს, რომ განხილვებში მონაწილეობდა უფრო ნაკლები ადამიანი, ვიდრე, გამოკითხულთა აზრით, ამის ინტერესი ჰქონდა.



დიაგრამა 10


კითხვაზე „რა მიზეზით ვერ დაესწართ საჯარო განხილვას?“ დაფესირებული პასუხები ამტკიცებს, რომ მოქალაქეთა დაბალი ჩართულობის მთავარი მიზეზები მოქალაქეთათვის ინფორმაციის არ ქონა და დასწრებაზე შესაძლებლობის არქონა არის. 254 გამოკითხულიდან, საჯარო განხილვის არც ერთ ფორმას არ ესწრებოდა 204 ადამიანი, რომლებმაც საჯარო განხილვაზე არ დასწრების მიზეზები შემდეგნაირად ახსნეს: არ მქონდა ინფორმაცია 38%, ვერ მოვახერხე - 20% არ მაინტერესებდა - 14%. აღსანიშნავია რომ 61-მა გამოკითხულმა (27%) საერთოდ არ დააფიქსირა საჯარო განხილვის შეხვედრებზე არ დასწრების მიზეზები, რაც შესაბამისად გულისხმობს, რომ მათ არჩევანს: „არ მაქვს პასუხი“. 1-მა მონაწილემ კი განაცხადა, რომ საჯარო განხილვებში მონაწილეობა მისი, როგორც ქალის საქმე არ არის. ამ შემთხვევაში ჩანს, რომ მოქალაქეთა ჩართულობაზე მცირე უარყოფითი გავლენა გააჩნია საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ ნორმებსაც.



დიაგრამა 11

ინტერვიუს ჩატარებისას რესპონდენტებს, რომლებიც ესწრებოდნენ საჯარო შეხვედრებს, უნდა გაეხსენებინათ 3 საკითხი, რაც საჯარო შეხვედრებზე იყო განხილული. ამ კითხვის მეშვეობით შესაძლოა შეფასება იმისა, თუ რამდენად ემსახურებოდა ჩატარებული საჯარო განხილვები კანონმდებლობით დადგენილ ფუნქციას, კერძოდ გარემოზე შესაძლო ზემოქმედებაზე მსჯელობას. დასახელებული პასუხებიდან მსგავსი საკითხები შინაარსობრივად დაჯგუფდა ბლოკების მიხედვით.

დაასახელეთ საკითხები, რომლებიც განხილვისას დაფიქსირდა




დიაგრამა 12

შეხვედრებზე დამსწრე 50 მონაწილე საჯარო შეხვედრებზე განხილულ საკითხებს შორის ყველაზე ხშირად ასახელებდა ადგილზე გარემოზე შესაძლო ზემოქმედების საკითხებს და დაპირებებს სოფლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შესახებ - 27 პასუხი.

კონკრეტული პროექტები, რაც სამიზნე სოფლებში შეხვედრების მონაწილე გამოკითხულებმა დაასახელეს იყო:

დაპირებები სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შესახებ



დიაგრამა 13

საჯარო შეხვედრების დროს სოფლის ინფრასტრუქტურაზე აქცენტის გაკეთება დაადასტურა საჯარო განხილვების მონიტორინგმაც. მაგ. 2022 წლის 11 თებერვალს „ბახვი 1 ჰესის“ საჯარო განხილვაზე სოფელ მთისპირში, სადაც დამსწრეთა უმრავლესობას წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის საჯარო სკოლასა და საბავშვო ბაღში დასაქმებული პირები, გამომსვლელთა კომენტარები უმეტესწილად შეეხებოდა სწორედ კომპანიის მიერ სკოლისა და ბაღის, ასევე სოფლის სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საკითხებს. განხილვაზე მხოლოდ ერთი შეკითხვა იყო დასმული გარემოსდაცვითი საკითხის (წყლის ეკოლოგიური ხარჯი) შესახებ.

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების შემთხვევაში დაგეგმილი სოციალური პროექტების ჩამონათვალი:

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სოციალური პროგრამის სამიზნე სოფლებად განისაზღვრა მთისპირის თემის 4 სოფელი (მთისპირი, ვანისქელი, ოქროსქელი, უკანაჯა) და სოფელი ჩხაკაურა, ასევე კურორტი ბახმარო. მთისპირის თემისა და სოფელ ჩხაკაურას მოსახლეობა შემდეგი სახის სარგებელს მიიღებს ბახვი 1 ჰესის პროექტის განხორციელების შედეგად:

- ❖ მშენებლობის პროცესში უპირატესობა მიანიჭება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას (სამშენებლო სამუშაოების მოთხოვნისა და მოსახლეობის კვალიფიკაციის შესაბამისად);
- ❖ მოწესრიგდება მთისპირის თემის შიდა სასოფლო გრუნტის ტიხები;
- ❖ გაგრძელდება საჯარო სკოლისა და საბავშვო ბაღის მხარდაჭერა;
- ❖ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჰიდროენერჯეტიკის, საინჟინრო ან გარემოსდაცვით სპეციალობებზე ჩარიცხული ახალგაზრდები მიიღებენ ფინანსურ მხარდაჭერას;
- ❖ საჯარო სკოლაში ჩატარდება საგანმანათლებლო სემინარებისა და შეხვედრებითი გაკვეთილების კურსი განახლებადი ენერჯის, ინოვაციებისა და ეკოლოგიის მიმართულებით;
- ❖ მშმ (მუზღუდული შესაძლებლობის მქონე) პირები მიიღებენ რეზლარულ ფინანსურ დახმარებას;
- ❖ სოფელ ვანისქელი კომპანია განხორციელებს წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ცალკეულ უბნებში საჭიროებისა და კომპანიის ხელთ არსებული ტექნიკური შესაძლებლობების მიხედვით.

თქვენი მოსაზრებები და შეკითხვები, ჩვენთვის მნიშვნელოვანია!
 კომპანია სი-სი-0-შირ ჰაიდრო ენ-ის გუნდი მუდმივ დიალოგის რეჟიმში ყველა დაინტერესებულ მხარესთან.
 ეს საინფორმაციო გამოცემა სწორედ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც ყოველთვიურ ინფორმაციულ ბიულეტენში სახე აქვს.
 ჩვენი მიზანია, პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, დროული და საინფორმაციო ინფორმაცია მოგაწოდოთ და ასევე, გაგივით
 თქვენი მოსაზრებები და რეკომენდაციები.
 თქვენი მოსაზრებები და კომენტარები კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@cchh.ge
 გთხოვთ, გაგზინდით კითხვები და მოსაზრებები კომპანიის ვებ-გვერდზე: www.cchh.ge და მიიღეთ დამატებითი ინფორმაცია ბახვი 1 ჰესის შესახებ.
 ენ-ის გუნდი: www.cchh.ge და მიიღეთ დამატებითი ინფორმაცია ბახვი 1 ჰესის შესახებ. შპს „სი-სი-0-შირ ჰაიდრო ენ-ის გუნდი“

სკოპინგის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტის საჯარო განხილვების მთავარი დანიშნულებაა, მოქალაქეთა ჩართულობით შეფასდეს დაგეგმილი საქმიანობის ხარჯსარგებლიანობა, მის მიერ ბუნებრივ და საცხოვრებელ გარემოზე მიყენებული შესაძლო ზიანი, გარდაუვალი ზემოქმედება, და ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები. ნაცვლად ამისა, პასუხებიდან ჩანს, რომ **საჯარო განხილვები ამ დანიშნულების ნაცვლად ასრულებს კერძო კომპანიასა და სოფლის მოსახლეობას შორის ვაჭრობის და მოლაპარაკების ფუნქციას**. იმ ფონზე, რომ ამ სოფლების ინფრასტრუქტურა მძიმე მდგომარეობაშია და სახელმწიფოსგან სათანადო ყურადღების გარეშე დატოვებული, კერძო კომპანიები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობით, სოფელს ჰპირდებიან კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას საკუთარი სახსრებით, კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ გარემოსათვის მიყენებული ზიანი არ არის მხოლოდ ქონებრივი ხასიათის და მისი კომპენსაცია ვერ მოხდება სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით 11-ჯერ დასახელდა დასაქმება, როგორც შეხვედრების დროს განხილული ერთ-ერთი საკითხი. სამართლებრივი ვალდებულება და გარანტია, რომ მშენებელი კომპანია ადგილობრივ მოსახლეობას დაასაქმებს, არ არსებობს. თუმცა დასაქმება ერთ-ერთი მიზეზია, რაც ხშირად განაპირობებს ადგილობრივების მიერ პროექტის მხარდაჭერას. დასაქმების პერსპექტივის გამო მხარდაჭერას რესპონდენტები აღნიშნავენ ტერიტორიული ერთეულის და სქესის მიუხედავად.

ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 4-ჯერ დასახელდა განხილულ საკითხებს შორის ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობის საკითხი.


გამოკითხულები საუბრობდნენ შეღავათიანი ტარიფის დაწესებაზე ან სოფლისთვის „უფასო დენის“ მიწოდებაზე. 2022 წლის 10 თებერვალს ქალაქ ოზურგეთში გამართულ „ბახვი 1 ჰესის“ გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე ერთ-ერთმა დამსწრემ კომენტარი სწორედ ჰესის მიერ უპირველესად დაბა ბახმაროს ელექტრომომარაგების საჭიროებაზე გააკეთა.¹³ თუმცა საქართველოში მოქმედი ერთიანი ენერგოსისტემა ასეთ მოდელს გამორიცხავს.

ეს საკითხი ადგილობრივი მოსახლეობისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. რესპონდენტები ინტერვიუს პროცესში ხშირად აღნიშნავენ რომ ელექტროენერჯის ტარიფი ძვირდება და ახალი ელექტროსადგურის მშენებლობისგან ტარიფის შემცირების მოლოდინი აქვთ, თუმცა პირიქით ხდება. ბუნებრივი რესურსს, როგორცაა წყალი და მიწა, მოიხმარს კერძო კომპანია, რომელიც სახელმწიფოსგან გადაცემული ბუნებრივი რესურსით აწარმოებს ელექტროენერჯიას და მას კომერციული ტარიფით, შეღავათების გარეშე ყიდის სახელმწიფოსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე. რესპონდენტების პასუხებიდან აშკრად იკვეთება აღნიშნული მოდელის უსამართლობის

¹³ <https://gurianews.com/me-var-bakhmaroeli-da-vsaubrob-bakhmaros-sakhelith/>

აღქმა და წუხილი. რესპოდენტები სხვადასხვა სოფლებიდან აღნიშნავენ, რომ ჰესის მშენებლობის შედეგი ადგილობრივი მოსახლეობისთვის იაფი ელექტროენერჯია უნდა იყოს.

საჯარო განხილვები ორგანიზებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. განხილვის ფორმატი ითვალისწინებს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, ასევე საკონსულტაციო კომპანიის მიერ პრეზენტაციების გაკეთებას, ხოლო შემდეგ კითხვა-პასუხის რეჟიმს. კითხვა-პასუხს მოდერაციას უწევს სამინისტროს თანამშრომელი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მოქალაქეთა ნაწილი ესწრებოდა არა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ სკოპინგის ან გზს-ის დოკუმენტის საჯარო განხილვას, არამედ დაინტერესებული კომპანიის მიერ საკუთარი ინიციატივით ჩატარებულ შეხვედრებსაც. კითხვაზე, თუ ვინ უნდა იყოს მათი აზრით პასუხისმგებელი საჯარო განხილვების ორგანიზებაზე, გამოკითხულთა უმრავლესობა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ასახელებს, კერძოდ 57%-მა დაასახელა მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხოლო 38%-მა საკრებულოში მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატი შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობა უპირველესად პასუხისმგებლობას აკისრებს მასთან ყველაზე ახლოს მყოფ მოხელეებს და თანამდებობის პირებს, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო განხილვების ორგანიზება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში არ შედის.



დიაგრამა 14

მოქალაქეთა ჩართულობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების პროცესში უნდა იყოს რეალური და შედეგზე ორიენტირებული. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ საჯარო განხილვების დროს დაფიქსირებული შენიშვნები და კომენტარები მხედველობაში იქნას მიღებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ პრაქტიკაში საჯარო განხილვის ჩატარების შემდგომ არ გრძელდება კომუნიკაცია მოსახლეობასთან და საზოგადოება გამოთიშულია გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან. დამატებითი კითხვების მეშვეობით ვეკითხებოდით რესპონდენტებს საჯარო განხილვების შემდგომ მიღებული ინფორმაციის შესახებ, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური საიტის მონიტორინგის მეშვეობით ვამოწმებდით საანგარიშო პერიოდში მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებებს. რესპონდენტები არ ფლობდნენ ინფორმაციას საჯარო განხილვებზე გამოთქმული მოსაზრებების შესახებ სამინისტროს რეაგირების თაობაზე. მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია შეხვედრების შემდგომი პროცედურების, სამინისტროს მიერ დამატებითი ინფორმაციების მოთხოვნის და კომპანიის მიერ დამატებითი ინფორმაციის წარდგენის შესახებ.

კვლევის პერიოდში აღნიშნულის მაგალითი იყო „ბახვი 1 ჰესის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი. საჯარო განხილვების პროცესის დასრულების შემდეგ, 2022 წლის 21 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეაჩერა ადმინისტრაციული წარმოება აღნიშნულ პროექტზე და მშენებელ კომპანიას მოსთხოვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა 44 საკითხზე.¹⁴ ამ მოცულობის ინფორმაციის დამატებითი წარმოდგენის მოთხოვნა მიუთითებს გზშ-ის ანგარიშის არასრულყოფილებასა და ნაკლოვანებებზე, ასევე საჯარო განხილვის პროცედურის ნაკლოვანებებზე, რადგანაც ჩატარებული 4 საჯარო განხილვის დროს არ ყოფილა მსჯელობა აღნიშნულ 44 საკითხზე, რაც დადგინდა აღნიშნული საჯარო განხილვების მონიტორინგის შედეგად. ამ განხილვებზე ხდებოდა მხოლოდ გზშ ანგარიშის პრეზენტაცია, ხოლო დასმული კითხვების და პასუხების დროს საუბარი იყო მხოლოდ კომპანიის მიერ განსახორციელებელ პროექტებზე, მხოლოდ 2 კითხვა შეეხებოდა გარემოსდაცვით საკითხებს, კერძოდ წყლის ეკოლოგიურ ხარჯს. შესაბამისად მოქალაქეებს, რომლებიც განხილვებს ესწრებოდნენ, არ მიუღიათ ინფორმაცია აღნიშნული ნაკლოვანებების შესახებ. მშენებელმა კომპანიამ 2022 წლის 29 აპრილს წარადგინა სამინისტროში დამატებითი ინფორმაცია.¹⁵ თუმცა კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს დამატებითი საჯარო განხილვის ვალდებულებას, შესაბამისად, მოქალაქეები გამორიცხულნი რჩებიან ყველაზე პრობლემური და მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისგან. მსგავს პრობლემაზე მიუთითებს საქართველოს სახალხო დამცველიც, რომლის მიხედვითაც უხარისხო გზშ-თან გამკლავების ერთ-ერთი ეფექტური გზა ასეთი დოკუმენტების დაწუნების პრაქტიკის აქტიურად დანერგვა იქნებოდა.¹⁶


მოქალაქეთა დამოკიდებულებები

¹⁴ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N2627/01 <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33872>

¹⁵ <https://nea.gov.ge/Ge/GZSH/17>


¹⁶ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა - პოლიტიკის, კანონმდებლობისა და აღსრულების გამოწვევები“, გვ. 29-30; თბილისი, 2021

გამოკითხულთა უმრავლესობა (65,7%) მიიჩნევს, რომ ისეთი ობიექტების მშენებლობა, როგორცაა ნაგავსაყრელი, კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა, ასფალტის ქარხანა, ჰიდროელექტროსადგური მოახდენს გავლენას მათ საცხოვრებელ გარემოზე. გარემოზე ზემოქმედების ყველაზე დაბალი პროცენტი მიიღო „კანალიზაცია - გამწმენდი ნაგებობამ“ – 39%. გამოკითხულთა 0,8% (საშუალო) ვერ აფასებს საცხოვრებელ გარემოზე ზემოქმედების ზეგავლენას.



დიაგრამა 15


კითხვაზე ჩამოთვლილთაგან რომელი ჰესის მშენებლობა მოახდენს ზეგავლენას გარემოზე? პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხულთა 61% მიიჩნევს რომ „ბახვი 1 ჰესი“ ყველაზე მეტად მოახდენს ზეგავლენას გარემოზე, ყველაზე ნაკლები პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ბარამიძეჰესის შესახებ – 51%.



დიაგრამა 16

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ჰესების მშენებლობის ზეგავლენა გარემოზე შემდეგნაირად შეფასდა: სურების მოსახლეობა მეტად კრიტიკულადაა განწყობილი და აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი ჰესის აშენება მოახდენს ზეგავლენა მათ საცხოვრებელ გარემოზე. აქ გამოკითხულების 100% საფრთხის შემცველად თვლიან ოთხივე ჰესის მშენებლობას. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰიდროელექტროსადგურის აშენების შედეგად მოსალოდნელი ზეგავლენის შესახებ დაფიქსირდა მთისპირის თემში - 47%, თუმცა სხვა ჰესებთან შედარებით მიაჩნიათ, რომ „ბახვი 1 ჰესს“ ექნება ზემოქმედება მათ გარემოზე (40%).

ნაბელავის ადმინისტრაციული ერთეულის გამოკითხული მოსახლეობის (ქვაბლა და ჩხაკაურა) 67%. მიიჩნევს რომ „ზოტი ჰესების კასკადი“ და „ბახვი 1 ჰესი“ მათ საცხოვრებელ გარემოზე მოახდენს ზეგავლენას.




დიაგრამა 17

კვლევის კითხვარში ასახული იყო ის ჰიდროელექტროსადგურები, რომლებზეც კითხვარის დაგეგმვის პერიოდისთვის მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება. ესენია:

- „ბარამიძეჰესი“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე ბარამიძისწყალზე (მდინარე სუფსის მარცხენა შენაკადი), სურების ხეობაში. სურები მოიცავს სამ სოფელს: ზემო სურები, შუა სურები და დიდი ვანი.
- ბახვი 1 ჰესი კურორტ ბახმაროს მიმდებარედ, ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, მდინარე ბახვისწყალზე. ბახმაროში წელიწადის 6 თვის განმავლობაში საავტომობილო მოძრაობა დაკეტილია, შესაბამისად მუდმივი მოსახლეობა არ არის, უახლოესი დასახლებული პუნქტები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მხრიდან, მდინარე ბახვისწყალზე არის მთისპირის თემის სოფლები, ხოლო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მხრიდან, მდინარე გუბაზოულის ხეობაში ნაბელავის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლები ჩხაკაურა და ქვაბლა
- ზოტის ჰესების კასკადი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მდინარე გუბაზოულზე.


- საშუალებას ჰქვამს კასკადი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარედ, მდინარე საშუალაზე (მდინარე გუბაზოულის აუზი)



რუკა 1 : კვლევის სამიზნე სოფლები და დაგეგმილი პროექტების განლაგება


კითხვაზე, უჭერთ თუ არა მხარს ჰესის მშენებლობას? 44%-მა გასცა პასუხი დიახ, ხოლო 39%-მა გასცა პასუხი არა. 17%-მა თავი შეიკავა პოზიციის დაფიქსირებისგან.

დაუჭერთ (ან უჭერთ) თუ არა მხარს ჰესის მშენებლობას



დიაგრამა 18


აღნიშნულ კითხვაზე სქესის ნიშნით განსხვავებული პასუხები არ დაფიქსირებულა, ჰგამოკითხულ კაცებსა და ქალებში თანაბრად განაწილდა სამივე შესაძლო პასუხი.



დიაგრამა 19

ამავე კითხვაზე ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით პასუხები განსხვავდება ერთმანეთისგან. ხიდითავის თემში ჰესის მშენებლობის მომხრეების და მოწინააღმდეგეების რაოდენობა დაახლოებით თანაბრადაა განაწილებული, ნაბელღავის თემში ჰესის მშენებლობას უფრო მცირე რაოდენობა უჭერს მხარს (30%), ხოლო უფრო დიდი რაოდენობა

არ უჭერს (44,6%), მთისპირის თემში გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (73,7%) ჰესის აშენების მომხრეა, ხოლო სურების თემში გამოკითხულთა 78% ეწინააღმდეგება ჰესის მშენებლობას. გამოკითხვის დროს დაფიქსირდა ისეთი პასუხებიც, როდესაც რესპონდენტი მხარს უჭერდა ერთ-ერთი ჰესის მშენებლობას, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა სხვა ჰესის მშენებლობას.



დიაგრამა 20


კითხვაზე „რა განაპირებებს თქვენს პოზიციას ჰესების მშენებლობის მიმართ“ პასუხების ყველაზე დიდი ნაწილი დაფიქსირდა „გარემოზე ზემოქმედება“ (43,3%), ხოლო მეორე ადგილზე გავიდა სოფლისთვის მოტანილი სარგებელი (28,7%).

	რაოდენობა	პროცენტი
სახელმწიფოსთვის მოტანილი სარგებელი	12	4,7
სოფლისთვის მოტანილი სარგებელი	73	28,7
ენერგოდამოუკიდებლობის საჭიროება	20	7,9
გარემოზე ზემოქმედება	110	43,3
თავი შეიკავა პასუხისგან	39	15,4
ჯამი	254	100,0

ცხრილი 3


აღნიშნულ კითხვაზე განსხვავებული პასუხები დაფიქსირდა იმის მიხედვით, უჭერს თუ არა მხარს რესპონდენტი ჰესის მშენებლობას. 111 რესპონდენტიდან, რომლებიც მხარს უჭერენ ჰესების მშენებლობას, მთავარი ფაქტორები, რაც განაპირებებს მათ მხარდაჭერას არის სოფლისთვის მოტანილი სარგებელი. სარგებელში რესპონდენტები გულისხმობდნენ ზემოთ დასახელებულ ინფრასტრუქტურულ და სოციალურ საკითხებს. ზოგიერთი რესპონდენტის აზრით ჰესი ერთადერთი საშუალებაა სახელმწიფოსგან სათანადო

ყურადღების გარეშე დარჩენილ სოფელში განვითარების პერპექტივის გასაჩენად. რამდენიმე რესპონდენტმა ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში დააფიქსირა ჰესის მიმართ მხარდაჭერა, რადგან მშენებელმა კომპანიამ სოფელში დააფინანსა ეკლესიის მშენებლობა. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის შესაძლებლობა როგორც ჰესის მშენებლობისადმი მხარდაჭერის განმაპირობებელი ფაქტორი. რესპონდენტთა 13,12% აღნიშნავდა გარემოზე ზემოქმედებას, სადაც იგულისხმებოდა პირობა რომ ჰესი არ დააზიანებს გარემოს და ყველა გარემოსდაცვითი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება.




დიაგრამა 21

99 რესპონდენტიდან, რომლებიც მხარს არ უჭერს ჰესების მშენებლობას, უმრავლესობამ (82%) ძირითად ფაქტორები, რაც განაპირობებს მათ პოზიციას დაასახელა გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება, ხოლო 13%-ს გაუჭირდა კონკრეტული მიზეზის დასახელება. გარემოზე შესაძლო უარყოფით ზემოქმედებაზე საუბრის დროს რესპონდენტები ასახელებდნენ ნიადაგის ეროზიის, მეწყრული პროცესების გააქტიურების, წყლების დაშრობის, ხეების მოჭრის და ტყის განადგურების საშიშროებას. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავდა, რომ გარემო, რომელიც დაზიანდება მათთვის მნიშვნელოვანია როგორც საცხოვრებლად, ასევე ეკონომიკის სხვა დარგების: სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობის, ტურიზმის განვითარებისთვის.



დიაგრამა 22

44-მა რესპონდენტმა თავი შეიკავა პასუხისაგან უჭერს თუ არა ჰესების მშენებლობას მხარს, თუმცა გამოყო მთავარი ფაქტორები, რაც განაპირობებს მათ მომავალ პოზიციას ჰესების მშენებლობის მიმართ:



დიაგრამა 23


დემოგრაფიული მონაცემები

კვლევის შედეგად გამოკითხული იქნება 254 რესპოდნენტი, რაც შეადგენდა დაგეგმილი 250-ის 101,6%-ს. გამოკითხულთა რაოდენობა სქესის მიხედვით


	რაოდენობა	პროცენტი
მამრობითი	133	52,4
მდედრობითი	121	47,6
სულ	254	100.0

ცხრილი 4

გამოკითხულთა განაწილება ასაკის მიხედვით




დიაგრამა 24




დიაგრამა 25

გამოკითხულთა პროცენტული გადანაწილება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით



დიაგრამა 26

გამოკითხულთა განაწილება მიღებული განათლების უმაღლესი დონის მიხედვით



დიაგრამა 27

გამოკითხულთა განაწილება დასაქმების მიხედვით

დასაქმების კატეგორია	რაოდენობა	პროცენტი
ვმუშაობ საკუთარ შიდა მეურნეობაში	50	19.7
ვმუშაობ თემის ამბულატორიაში	5	2.0
ვმუშაობ თემის საგანმანათლებლო დაწესებულებაში	24	9.4
ვმუშაობ ქირაზე სხვის მეურნეობაში	13	5.1
ვმუშაობ თემში არსებულ ბიზნეს სტრუქტურაში	12	4.7

მაქვს საკუთარი ბიზნესი თემში	9	3.5
ვარ დიასახლისი	28	11.0
ვარ პენსიონერი	29	11.4
ვარ სტუდენტი	3	1.2
არ ვმუშაობ არსად	63	24.8
საჯარო მოხელე	9	3.6
ვმუშაობ თემის გარეთ ბიზნეს სტრუქტურაში	4	1.6
სხვა	5	2.0
ჯამი	254	100.0

ცხრილი 5

რეკომენდაციები

- სახელმწიფომ, კერძოდ კი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და შესაბამისმა მუნიციპალიტეტებმა გასწიონ მაქსიმალური ძალისხმევა სკოპინგის და გზმ-ის ანგარიშების საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად
- სახელმწიფო ორგანოებამ უნდა გამოიყენონ ინფორმაციის გავრცელების რამდენიმე, თანამედროვე და სიტუაციის ადეკვატური მეთოდი: მათ შორის SMS-ები, ინტერნეტ-გვერდები, მასმედია, სოციალური მედია, საჯარო ადგილებში განთავსებული განცხადებები,
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სკოპინგის და გზმ-ის ანგარიშების საჯარო განხილვებისას უზრუნველყოს მსჯელობის წარმართვა პროექტის გარემოსდაცვით საკითხებსა და ხარჯსარგებლიანობის ანალიზზე, რათა მოქალაქეებს ჰქონდეთ მნიშვნელოვან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებში რეალური და შინაარსობრივი ჩართულობის შესაძლებლობა; სამინისტრომ შესაძლებლობის ფარგლებში გაითვალისწინოს გამოთქმული შენიშვნები და კომენტარები
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სკოპინგის ან გზმ-ის ანგარიშზე დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის და მშენებელი კომპანიის მიერ დამატებითი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში აღნიშნული დამატებითი ინფორმაცია დაექვემდებაროს საჯარო განხილვას
- განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის როლი და უფლებამოსილებები საჯარო განხილვების პროცესში მოქალაქეთა ინფორმირებასთან დაკავშირებით